N 10/455
15/02/2024

455-10-2-202402151105

კოოპერატივ „სანერგე მეურნეობა“-ს (ს/კ 438734461)
გამგეობის თავმჯდომარეს ლუკა ხუციშვილს
მის: სამტრედია, სოფ. იანეთი
[redacted]

დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების შესახებ

ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 ოქტომბრის №254 დადგენილების მე-3 მუხლის, ,,ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მონიტორინგის 2024 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 30 იანვრის N1-6/20 ბრძანების და ,,ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გეგმიური, დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 7 თებერვლის N1-6/42 ბრძანების საფუძველზე, დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, გთხოვთ წერილის ჩაბარებიდან 3 (სამი) თვის ვადაში ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოში ან/და სააგენტოს ელექტრონული ფოსტის (document@rda.gov.ge) მეშვეობით წარმოადგინოთ თანდართული დანართით (N3) გათვალისწინებული ინფორმაცია.

წერილით განსაზღვრულ ვადაში ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებული იქნება გადაწყვეტილეება თქვენი კოოპერატივისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 30 იანვრის N1-6/20 ბრძანების დანართი შეგიძლიათ იხილოთ საგენტოს ვებ გვერდზე (rda.gov.ge)

დანართი: 3 ფურცელი (ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 30 იანვრის N1-6/20 ბრძანება; მონიტორინგის კითხვარი დანართი N3).

პატივისცემით,

დავით წითლიძე

დირექტორი
ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო”